ევროპის ენისა და მეტყველების თერაპევტთა ასოციაცია (CPLOL) ყოველწლიურად 6 მარტს აღნიშნავს ევროპის ენისა და მეტყველების თერაპიის დღეს. ამ ღონისძიების მიზანია კომუნიკაციის, ყლაპვისა და კვების დარღვევების დროს ენისა და მეტყველების თერაპევტის როლის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

2019 წლის თემად აუტიზმის სპექტრის დარღვევა გამოცხადდა. ამ დღეს ევროპის ენისა და მეტყველების თერაპევტები გაერთიანდებიან, რათა სამუშაო შეხვედრების, ტრენინგებისა და კონფერენციების დახმარებით საზოგადოებას გააცნონ აუტიზმის სპექტრის დარღვევის დროს ენისა და მეტყველების თერაპევტების ფუნქცია.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვის განვითარების ინსტიტუტი და საქართველოს ენისა და მეტყველების თერაპევტთა ასოციაცია წელს პირველად უერთდება 6 მარტის აღნიშვნას და გიწვევთ საჯარო ლექცია-დისკუსიაზე: **„კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის როლი აუტიზმის მართვაში“.**

გარდა ამისა, შეხვედრაზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის“ სამაგისტრო პროგრამის პირველი ნაკადის სტუდენტები პროგრამის შედეგებს შეაჯამებენ.

დასწრება თავისუფალია ყველა მსურველისა და დაინტერესებული პირისთვის.

შეხვედრის განრიგი:

16:00-16:05	შეხვედრის გახსნა
16:05-16:20	თინათინ ქინქარაული „ენობრივი განვითარების პრედიქტორები აუტიზმის სპექტრის აშლილობის დროს“
16:20-16:40	ნინო ცინცაძე „კომუნიკაციის როლი ენისა და მეტყველების განვითარებაში“
16:40-17:00	ანა შამათავა, თინათინ ანთიძე „კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის“ სამაგისტრო პროგრამის შედეგების შეჯამება
17:00-17:30	დისკუსია

თარიღი: 6.03.2019, 16:00-17:30

წიგნის სახლი „ლიგამუსი“ (ი. ქავქავაძის გამზ. N32)